



სამეცნიერო საქმიანობის გეგმა -2019



გთუნი



დამტკიცებულია
აკადემიური საბჭოს დადგენილება
ოქმი N 5. 29.03.2019

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის გეგმა ეფუძნება 2019-2025 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმას და 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმას, რომელთა მიხედვით გთუნის დაგეგმილი აქვს საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის ხარისხის ზრდა და ინტერნაციონალიზაცია (სტრატეგიული მიზანი 3.). სამეცნიერო საქმიანობის ერთიანი გეგმა შედგენილია ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის და სამართლის ფაკულტეტის მიერ შემუშავებული გეგმების საფუძველზე სამეცნიერო საქმიანობის გეგმა

მიუხედავად იმისა, რომ მისიის განაცხადის თანახმად, გთუნი არ ახორციელებს სადოქტორო პროგრამებს და არ წარმოადგენს კვლევით ინსტიტუციას, ამასთან არ არსებობს სახელმწიფო დონეზე სამეცნიერო საქმიანობისადმი მკაფიოდ დიფერენცირებული მიდგომა უსდ-ების ტიპების შესაბამისად, **სამეცნიერო აქტივობების ინტენსიფიკაცია** გთუნისთვის მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს.

სამეცნიერო აქტივობების ეფექტიანობის ამაღლების მიმართულებით, ბოლო წლებში გთუნიმ გასწია მნიშვნელოვანი სამუშაოები: შეიმუშავა გთუნის სამეცნიერო საქმიანობის ორგანიზებისა და მართვის წესი, განსაზღვრა სამეცნიერო საქმიანობის სახეები, სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვის მეთოდი, სამეცნიერო საქმიანობის სუბიექტები და მათი საშუალო დატვირთვა, სამეცნიერო საქმიანობის ანგარიშის წარდგენის წესი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების წესი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების ინდიკატორები და კრიტერიუმები. ყოველწლიურად ხდება აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის პროდუქტულობის შეფასება და სხვა.

გთუნი მტკიცედ მიიჩნევს, რომ მისი სამეცნიერო საქმიანობა, უპირველეს ყოვლისა, უნდა ემსახურობდეს სტუდენტთა ინტერესებს და ამ პრინციპით განისაზღვროს კვლევის პრიორიტეტები.

სამეცნიერო აქტივობების ინტენსიფიკაციისთვის დაგეგმილი ამოცანებია:

- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერის პრაქტიკის გაუმჯობესება და სამეცნიერო ფონდებთან თანამშრომლობის გააქტიურება
- მიზნობრივ სამეცნიერო კვლევით პროექტებზე მუშაობის და შიდა გრანტების მოპოვების პრაქტიკის დანერგვა და განხორციელება

- საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის ამაღლება;
- სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობებში ჩართვა;
- გთუნის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასების პრაქტიკის გაუმჯობესება.

ინტერნაციონალიზაცია

გთუნი აცნობიერებს, რომ მისი საქმიანობა არა მხოლოდ ქვეყნის, არამედ რეგიონულ და გლობალურ პერსპექტივებზე უნდა იყოს ორიენტირებული და რომ, უაღრესად კონკურენტულ საგანმანათლებლო გარემოში წარმატების საწინდარი დაწესებულების ინტერნაციონალიზაციაა;

გთუნისთვის ინტერნაციონალიზაცია არის საქმიანობის უწყვეტი, განგრძობადი და კომპლექსური პროცესი, აგრეთვე საშუალება და მექანიზმი, რომლითაც საუნივერსიტეტო საქმიანობა დაუკავშირდება საერთაშორისო საგანმანათლებლო სისტემას; გაზრდის გთუნის გაზრდის გთუნის კურსდამთავრებულებისა და აკადემიური პერსონალის კონკურენტუნარიანობას, ხელს შეუწყობს მათ წარმატებას და პროფესიულ განვითარებას.

საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის განვითარების მიზნის მისაღწევად გთუნი განახორციელებს საქმიანობას ორი - აკადემიური და სამეცნიერო მიმართულებებით, რაც, ერთი მხრივ, განუყოფელი მიზანია, მეორე მხრივ, მოითხოვს განსხვავებულ მიდგომებს და განსახორციელებელ ამოცანებს.

სამეცნიერო მიმართულებით განსახორციელებელი მოკლევადიანი ამოცანებია:

- მეცნიერების თანამედროვე, საერთაშორისო მიღწევების, ტრენდების, ხედვების შესახებ ინფორმაციის გაზიარების ღონისძიებების სისტემატური გატარება;
- საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის გაფართოება-გაღრმავება კვლევითი პროექტების ფარგლებში;
- საერთაშორისო კონფერენციებში, სტაჟირებებში, სემინარებში გთუნის აკადემიური პერსონალის მონაწილეობის ხელშეწყობა;
- ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელებისთვის პარტნიორების მოძიებაზე ზრუნვა;

სამეცნიერო მიმართულებით განსახორციელებელი გრძელვადიანი ამოცანებია:

- უცხოელი, მეცნიერების, ექსპერტების მეტი ჩართვის უზრუნველყოფა გთუნის სამეცნიერო საქმიანობაში;
- ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელების ხელშეწყობა;
- სამეცნიერო პუბლიკაციების, ელექტრონული ჟურნალებისა და მონაცემთა ბაზების გაზრდა და მეტი ხელმისაწვდომობა;
- ციტირების ინდექსისა და იმპაქტ-ფაქტორის ჟურნალებში გამოქვეყნების მაჩვენებლების ზრდა.

ფაკულტეტების/კათედრების მიერ შემუშავებული 2019 წლის სამეცნიერო საქმიანობის გეგმები თანხვედრაშია ზემოაღნიშნულ მიზნებთან და ამოცანებთან.

ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის სამეცნიერო საქმიანობის

გეგმა

2019

ბიზნესისა და ეკონომიკის მართვის კათედრა

ბიზნესისა და ეკონომიკის მართვის კათედრა წარმოადგენს გთუნი-ს ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომლის უმთავრესი დანიშნულებაა პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება, კოორდინაცია, სასწავლო კურსების განახლება-სრულყოფა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. სამეცნიერო კვლევებზე დაფუძნებული სწავლებისა და სწავლის ხარისხის მუდმივი განვითარება.

კათედრის საქმიანობა ეფუძნება უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიას, მიზანი კი, თანამედროვე მოთხოვნების საფუძველზე კონკურენტუნარიანი ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალისტების აღზრდა და სწავლების პროცესში თანამედროვე ევროპული ფორმებისა და მეთოდების დანერგვის უზრუნველყოფაა, რომელიც ძირითადად პრაქტიკული უნარ-ჩვევების რეალურად გამოყენებაზეა ორიენტირებული.

2019 წლისათვის კათედრის სამეცნიერო გეგმა მნიშვნელოვან როლს ანიჭებს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობებს (კონფერენციებსა და საგრანტო პროექტებში მონაწილეობა და სხვა) საერთაშორისო-სამეცნიერო ურთიერთობების განვითარებასა და ხელშეწყობას, საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობასა და საერთაშორისო პროგრამების განხორციელებას.

სამეცნიერო საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად ითვლება ასევე სტუდენტთა სამეცნიერო და ანალიტიკური კვლევის უნარ-ჩვევების გამომუშავება, სტუდენტთა ჩართულობა ადგილობრივი თუ საზღვარგარეთის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენციებში; სტუდენტებისათვის მეცნიერული აზროვნების კრიტიკული და არგუმენტირებული მიდგომებისა და უნარების გამომუშავება.

კათედრა ორიენტირებულია სტუდენტების სამეცნიერო პოტენციალის განვითარებასა და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობების განვითარება/გაფართოებაზე.

ბიზნესისა და ეკონომიკის მართვის კათედრის სამეცნიერო საქმიანობის ერთწლიანი, 2019 წ. გეგმა ეფუძნება გთუნის სტრატეგიული განვითარების გეგმას, ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ერთწლიან სამოქმედო გეგმას, პრიორიტეტებს, რომლის მისაღწევადაც ბიზნესის მართვის კათედრა ისახავს შემდეგი მიზნებისა და ამოცანების გადაწყვეტას:

მიზანი 1. სამეცნიერო საქმიანობის ხარისხის ამაღლება ფინანსებისა და ეკონომიკის მიმართულებით					
№	ამოცანები და განხორციელების მექანიზმები	პერიოდი	ინდიკატორები და სამიზნე ნიშნულები	პასუხისმგებელი	ჩართული სტრუქტურა
1.1.	სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის განსაზღვრა: წლიური სამეცნიერო თემა; “მენეჯერულ გადაწყვეტილებათა ქცევის ტექნოლოგიები, ეკონომიკური განვითარების მრავალწახნაგიანი განუსაზღვრელობის პირობებში”-მაგისტრანტების მონაწილეობით	05.01.2019	გამოსაცემად გამზადებული სამეცნიერო ნაშრომი 5 სტატია	<ul style="list-style-type: none"> ▪ კათედრის ხელმძღვანელი, პროფ. ა. თავართქილაძე, ▪ პროფ. გ. ალადაშვილი, ▪ პროფ. ლ. ჩაგელიშვილი, ▪ პროფ. ნ. ბაგრატიონი 	ფაკულტეტი
1.2.	დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების გამოვლენა, ეკონომიკური აგენტების მოძიება	10.11.2019	მოთხოვნების შესაბამისი კვლევების განხორციელება	<ul style="list-style-type: none"> ▪ კათედრის ხელმძღვანელი, პროფ. ა. თავართქილაძე, ▪ კათედრის აკადემიური პერსონალი 	ფაკულტეტის ხუცი; საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილება
1.3.	კათედრის სამეცნიერო პოტენციალის რეკლამირება და კვლევის შედეგების შეთავაზება საზოგადოებისთვის; კვლევითი სამუშაოების გავრცელების ღონისძიებების გაფართოება; მრგვალი მაგიდის ორგანიზება	10.12.2019	რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“ ჟურნალებში გამოქვეყნებული შრომები - 5 შრომა	<ul style="list-style-type: none"> ▪ კათედრის ხელმძღვანელი, პროფ. ა. თავართქილაძე ▪ პროფ. გ. ალადაშვილი, ▪ პროფ. ლ. ჩაგელიშვილი, ▪ პროფ. ნ. ბაგრატიონი ▪ ასოც. პროფ. დ. ვეკუა ▪ ასოც.პროფ. მ. თორია 	ფაკულტეტი; PR სამსახური

1.4.	გთუნის, როგორც სამეცნიერო საკონსულტაციო ცენტრის ავტორიტეტის მოპოვება და ამ საქმიანობაში ბიზნესის და ეკონომიკის მართვის კათედრის მონაწილეობა; ტრენინგები(თანამედროვე მენეჯმენტი, პრაქტიკული მარკეტინგი, ანტიკრიზისული მართვა; ცვლილებების მართვა)	10.2019	კათედრის ანგარიში საგაზაფხულო და საშემოდგომო სემინარები სტუდენტური ფესტივალი	<ul style="list-style-type: none"> ▪ აკადემიური პერსონალი; ▪ პროფ. გ. ალადაშვილი, ▪ პროფ. ლ. ჩაგელიშვილი, ▪ პროფ. ნ. ბაგრატიონი ▪ ასოც.პროფ. მ. თორია 	ფაკულტეტი
1.5	სამეცნიერო-მეთოდური ხასიათის ლიტერატურის/სალექციო კურსების შემუშავება/გამოცემა(მწვანე ეკონომიკა; მეწარმეობის ეკონომიკა, ცირკულარული ეკონომიკა; ბიზნეს პროცესების მართვა; საერთაშორისო წარმოება და ოპერაციათა მართვა)	25.12. 2019	(მზადების პროცესში). ლიტერატურა/სალექციო კურსები	<ul style="list-style-type: none"> ▪ პროფ. ა. თავართქილაძე ▪ პროფ. გ. ალადაშვილი, ▪ პროფ. ლ. ჩაგელიშვილი, ▪ პროფ. ნ. ბაგრატიონი ▪ ასოც. პროფ. დ. ვეკუა ▪ ასოც.პროფ. მ. თორია 	ფაკულტეტი
1.6	დებატ-კლუბების (სტუდენტური ფესტივალის ფარგლებში უნივერსიტეტათშორისი სტუდენტური დებატების ორგანიზება „ნარჩენების მართვის“ საკითხებზე) და	21-27 სექტემბერი 2019	კათედრის ანგარიში;ჩატარებული ღონისძიება	ბიზნესის და ეკონომიკის მართვის კათედრა; პროფ. ა. თავართქილაძე აკადემიური პერსონალი	
1.7	სამეცნიერო/კონსალტინგური ცენტრის მიერ სამეცნიერო-პრაქტიკული ღონისძიებების რეალიზება: თემაზე „ გლობალური უსაფრთხოება 2019“	ნოემბერი 2019	კათედრის ანგარიში	ბიზნესის და ეკონომიკის მართვის კათედრა; პროფ.ლ. ჩაგელიშვილი; აკადემიური პერსონალი	ფაკულტეტი; თრენინგისა და კონსალტინგის ცენტრი
მიზანი 2. საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობების ხელშეწყობა					
2.1.	საერთაშორისო რეფერირებად და იმპაქტ-ფაქტორის ჟურნალებში კვლევის შედეგების გამოქვეყნება ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“	წლის მანძილზე	ჟურნალებში გამოქვეყნებული შრომები მაქსიმუმ 2 სტატია	კათედრის აკადემიური პერსონალი	ფაკულტეტის დეკანი

	ინდექსირებადი, იმპაქტ ფაქტორის ჟურნალი ; Managerial studies” –USA-China				
2.2.	საერთაშორისო პროექტების მომზადება (ფონდების შერჩევით და მათ მიერ გამოცხადებული კონკურსების შესაბამისად) - შოთა რუსთაველის ფონდი; - Horizon 2020 – the EU Framework - Programme for Research and Innovation - European Research Council - Funding and Grants)	2019	ფონდებში წარდგენილი საპროექტო განაცხადი	აკადემიური პერსონალია	ფაკულტეტი
მიზანი 3. სამეცნიერო აქტივობების გაუმჯობესება					
3.1.	თანამშრომელთა და სტუდენტთათვის სამეცნიერო ფორუმების, კოლოქვიუმების, სემინარების ჩატარება	2019 წლის მანძილზე	ფორუმების, კონფერენციების მასალები/პროგრამები	კათედრის აკადემიური პერსონალი	ფაკულტეტი
3.2.	საერთაშორისო მასშტაბის ღონისძიებებში (სამეცნიერო ფესტივალები, გამოფენები, კონფერენციები და სხვა) აკადემიური პერსონალის და სტუდენტების მონაწილეობა; (სტუდენტთა საერთაშორისო ფესტივალი)		ფორუმების, კონფერენციების მასალები/პროგრამები	კათედრის აკადემიური პერსონალი	ფაკულტეტი; საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილება; PR სამსახური

ჟურნალისტიკის კათედრა

ჟურნალისტიკის კათედრის სამეცნიერო საქმიანობის განხორციელება უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების მნიშვნელოვანი მიმართულებაა და მიზნად ისახავს სამეცნიერო საქმიანობის ხარისხის ზრდასა და ინტერნაციონალიზაციას.

ჟურნალისტიკის კათედრის სამეცნიერო საქმიანობის ერთწლიანი, 2019 წ., გეგმა ეფუძნება გთუნის სტრატეგიასა და ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის სამოქმედო გეგმას, პრიორიტეტს, რომლის მისაღწევადაც ჟურნალისტიკის კათედრა ისახავს შემდეგი რიგის მიზნებისა და შესაბამისი ამოცანების გადაწყვეტას:

მიზანი 1. ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებით სამეცნიერო საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესება

- 1.1. სამეცნიერო-კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრა; წლიური სამეცნიერო თემები (მაგისტრატურის სტუდენტთა ჩართულობით);
- 1.2. კვლევების შედეგების წარდგენა და ინტერესებული მხარეებისათვის და მათი საჭიროებების გათვალისწინება;
- 1.3. გთუნის ჟურნალისტიკის კათედრის სამეცნიერო პოტენციალის რეკლამირება და კვლევის შედეგების შეთავაზება საზოგადოებისთვის; კვლევითი სამუშაოების გავრცელების ღონისძიებების გაფართოება;
- 1.4. გთუნის, როგორც სამეცნიერო საკონსულტაციო ცენტრის ავტორიტეტის მოპოვება და ამ საქმიანობაში ჟურნალისტიკის კათედრის მონაწილეობა;
- 1.5. სამეცნიერო პერსონალის გადამზადებისა და განვითარების ხელშეწყობა.

მიზანი 2. საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობების ხელშეწყობა

- 2.1. კვლევის შედეგების გამოქვეყნების სტიმულირება და ხელშეწყობა ავტორიტეტულ ჟურნალებში, რომელთა ხარისხის ობიექტური საზომია იმპაქტ-ფაქტორი;
- 2.2. საერთაშორისო კვლევებში და პროექტებში თანამშრომლობა;
- 2.3. კვლევების გამოქვეყნებამდე და გამოქვეყნებისათვის გასაწევი საქმიანობის ჩატარება; ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და მართვის ღონისძიებების გატარება.

მიზანი 3. სამეცნიერო აქტივობების მენეჯმენტის ხარისხის გაუმჯობესება

- 3.1. თანამშრომელთა და სტუდენტთათვის სამეცნიერო ფორუმების, კოლოქვიუმების, სემინარების ჩატარების ორგანიზება; საერთაშორისო მასშტაბის ღონისძიებებში (სამეცნიერო ფესტივალები, გამოფენები და სხვა) მონაწილეობა;
- 3.2. ადგილობრივი და საერთაშორისო საგრანტო კონკურსების შესახებ ინფორმაციის მოძიება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. სამეცნიერო ფონდებთან მუშაობის გააქტიურება, შემდეგ ფონდებზე ფოკუსირებით :

- სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
- Horizon 2020 – the EU Framework Programme for Research and Innovation
- European Research Council - Funding and Grants

მიზანი 1. ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებით სამეცნიერო საქმიანობის ხარისხის ამაღლება					
№	ამოცანები	პერიოდი	პასუხისმგებელი	შესრულების ინდიკატორი/სამიზნე ნიშნული	ჩართული სტრუქტურა
1.1.	სამეცნიერო-კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრა; წლიური სამეცნიერო თემები (მაგისტრატურის სტუდენტთა ჩართულობით);	10.01.2019	კათედრის ხელმძღვანელი, პროფ.მ.ვეკუა, დ.ჩიკვილაძე, ნ.ფოფხაძე, ასოც. პროფესორი ლ. კუტუბიძე	კათედრის ანგარიში, კონფერენციებზე წარდგენილი მოხსენებები, გამოქვეყნებული სტატიები	ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი და ხუსი
1.2.	კვლევების საჭიროებების გათვალისწინება და შედეგების წარდგენა დაინტერესებული მხარეებისათვის;	10.10.2019	კათედრის ხელმძღვანელი, პროფ.მ.ვეკუა და ასოცირებული პროფესორი დ. ჩიკვილაძე	კათედრის ანგარიში კათედრის გაფართოებული სხდომა	ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი და ხუსი

1.3.	გთუნის ჟურნალისტიკის კათედრის სამეცნიერო პოტენციალის რეკლამირება და კვლევის შედეგების შეთავაზება საზოგადოებისთვის; კვლევითი სამუშაოების გავრცელების ღონისძიებების გაფართოება - სამეცნიერო ერთოვლივ პროექტებში მონაწილეობა;	10.11.2019	კათედრის ხელმძღვანელი, პროფ.მ.ვეკუა და ასოცირებული პროფესორი დ. ჩიკვილაძე	კათედრის ანგარიში; ჩატარებული მრგვალი მაგიდა; კრებულში გამოქვეყნებული 2 სტატია	ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი და ხუსი
1.4.	გთუნის, როგორც სამეცნიერო საკონსულტაციო ცენტრის ავტორიტეტის მოპოვება და ამ საქმიანობაში ჟურნალისტიკის კათედრის მონაწილეობა უცხოელი (გერმანიის) მაგისტრანტებისათვის ტრენინგის ჩატარების მეშვეობით	03.2019 10.2019 03-06.2019	ჟურნალისტიკის კათედრა პროფესორები: მ. ვეკუა დ.ჩიკვილაძე ნ.ფოფხაძე ასოც. პროფესორი ლ. კუტუბიძე	კათედრის ანგარიში; საგაზაფხულო და საშემოდგომო სემინარები; მემორანდუმი, შესაბამისი დოკუმენტაცია (სილაბუსი, სასწავლო გეგმა, უწყისები, კათედრის ოქმები და ანგარიში)	ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი და ხუსი
1.5.	სამეცნიერო პერსონალის გადამზადებისა და განვითარების ხელშეწყობა. ტრენინგის „ჟურნალისტიკის კვლევის მეთოდები“	2019 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო სემესტრები 03.2019	ჟურნალისტიკის კათედრა; ფაკულტეტის ხუსი პროფესორი მ. ვეკუა ასოც. პროფ. ლ. კუტუბიძე	კათედრის ანგარიში; ჩატარებული ღონისძიებები	ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი და ხუსი; ტრენინგისა და კონსალტინგის ცენტრი
მიზანი 2. საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობების ხელშეწყობა					
2.1.	კვლევის შედეგების გამოქვეყნების სტიმულირება	წლის მანძილზე	კათედრის აკადემიური პერსონალი	კათედრის ანგარიში	ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების

	და ხელშეწყობა ავტორიტეტულ ჟურნალებში, რომელთა ხარისხის ობიექტური საზომია იმპაქტ-ფაქტორი;				ფაკულტეტის დეკანი და ხუსი
2.2.	საერთაშორისო კვლევებში და პროექტებში ჩართვა	2019 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო სემესტრები	ჟურნალისტიკის კათედრის აკადემიური პერსონალი	კათედრის ანგარიში	ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი და ხუსი; საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილება
2.3.	კვლევების გამოქვეყნებამდე და გამოქვეყნებისათვის გასაწევი საქმიანობის ჩატარება;	2019 წლის აპრილი	ჟურნალისტიკის კათედრა; ფაკულტეტის ხუსი ასოც. პროფ. ლ. კუტუბიძე,	კათედრის ანგარიში	ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი და ხუსი
მიზანი 3. სამეცნიერო აქტივობების მენეჯმენტის ხარისხის გაუმჯობესება					
3.1.	თანამშრომელთა და სტუდენტთათვის სამეცნიერო ფორუმების (1), კოლოქვიუმების, სემინარების ჩატარების ორგანიზება (2);	2019 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო სემესტრები	ჟურნალისტიკის კათედრის პროფესორა	ჩატარებული ღონისძიებების პროგრამები, ანგარიშები კათედრის ანგარიშები უნივერსიტეტის ვებ-გვერდი	ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი და ხუსი
3.2.	საერთაშორისო მასშტაბის ღონისძიებებში (სამეცნიერო ფესტივალი, გამოფენა და სხვა) მონაწილეობა;	ღონისძიებების ვადების შესაბამისად	ჟურნალისტიკის კათედრის პროფესორა	ჩატარებული ღონისძიებების პროგრამები, ანგარიშები კათედრის ანგარიშები უნივერსიტეტის ვებ-გვერდი	ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი და ხუსი; საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილება

3.3.	<p>ადგილობრივი და საერთაშორისო საგრანტო კონკურსების შესახებ ინფორმაციის მოძიება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. სამეცნიერო ფონდებთან მუშაობის გააქტიურება, შემდეგ ფონდებზე ფოკუსირებით :</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი ▪ Horizon 2020 – the EU Framework Programme for Research and Innovation ▪ European Research Council - Funding and Grants 	გამოცხადებული კონკურსების შესაბამისად	ჟურნალისტიკის კათედრის პროფესურა	კათედრის ანგარიში; გამოქვეყნებული სტატიები	ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი და ხუსი
------	--	---------------------------------------	----------------------------------	--	--

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა

სამეცნიერო საქმიანობის განხორციელება სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების მნიშვნელოვანი მიმართულებაა და მიზნად ისახავს კვლევის, ნოვაციებისა და კრეატიულობის ყოველმხრივ მხარდაჭერას და გთუნის სამეცნიერო რეპუტაციისა და ცნობადობის ამაღლებას.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის სამეცნიერო საქმიანობის ერთწლიანი, 2019 წ., გეგმა ეფუძნება გთუნის სტრატეგიული განვითარების გეგმას და მოქმედი ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტების ერთწლიან სამოქმედო გეგმებს, პრიორიტეტს, რომლის მისაღწევადაც კათედრა ისახავს შემდეგი რიგის მიზნებისა და შესაბამისი ამოცანების გადაწყვეტას:

მიზანი 1. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის სამეცნიერო საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესება

- 1.6. სამეცნიერო-კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრა; წლიური სამეცნიერო თემები (მაგისტრატურის სტუდენტთა ჩართულობით);
- 1.7. კვლევების შედეგების წარდგენა დაინტერესებული მხარეებისათვის და მათი საჭიროებების გათვალისწინება;
- 1.8. გთუნის კათედრის სამეცნიერო პოტენციალის რეკლამირება და კვლევის შედეგების შეთავაზება საზოგადოებისთვის; კვლევითი სამუშაოების გავრცელების ღონისძიებების გაფართოება;
- 1.9. გთუნის, როგორც სამეცნიერო საკონსულტაციო ცენტრის ავტორიტეტის მოპოვება და ამ საქმიანობაში კათედრის მონაწილეობა;
- 1.10. სამეცნიერო პერსონალის გადამზადებისა და განვითარების ხელშეწყობა.

მიზანი 2. საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობების ხელშეწყობა

- 2.4. კვლევის შედეგების გამოქვეყნების სტიმულირება და ხელშეწყობა ავტორიტეტულ ჟურნალებში, რომელთა ხარისხის ობიექტური საზომია იმპაქტ-ფაქტორი;
- 2.5. საერთაშორისო კვლევებში და პროექტებში თანამშრომლობა;
- 2.6. კვლევების გამოქვეყნებამდე და გამოქვეყნებისათვის გასაწევი საქმიანობის ჩატარება; ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და მართვის ღონისძიებების გატარება.

მიზანი 3. სამეცნიერო აქტივობების მენეჯმენტის ხარისხის გაუმჯობესება

- 3.3. თანამშრომელთა და სტუდენტთათვის სამეცნიერო ფორუმების, კოლოქვიუმების, სემინარების ჩატარების ორგანიზება; საერთაშორისო მასშტაბის ღონისძიებებში (სამეცნიერო ფესტივალები, გამოფენები და სხვა) მონაწილეობა;
- 3.4. ადგილობრივი და საერთაშორისო საგრანტო კონკურსების შესახებ ინფორმაციის მოძიება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. სამეცნიერო ფონდებთან მუშაობის გააქტიურება, შემდეგ ფონდებზე ფოკუსირებით :

- სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
- Horizon 2020 – the EU Framework Programme for Research and Innovation
- European Research Council - Funding and Grants
- European Commission - DIGITAL AGENDA/DG CONNECT - Funding opportunities section
- European University Institute - Max Weber Programme for Postdoctoral Studies
- Executive Agency Education, Audiovisual & Culture (EACEA) - Erasmus Mundus Joint Doctorates (EMJDs)
- Bilateral EU Cooperation in Science (BILAT) – Funding
- Elsevier

N	ამოცანები	ვადა	პასუხისმგებელი	ინდიკატორი/სამიზნე ნიშნული
მიზანი 1. საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობების ხელშეწყობა				
1.1.	გეგმით გათვალისწინებული სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა	პერმანენტულად	კათედრა; ბიზნესისა და სოც.მეც.ფაკ. დეკანატი	კათედრის ანგარიში
1.2.	სამეცნიერო ნაშრომების რეცენზირება/რედაქტირება	პერმანენტულად	კათედრა	საკათედრო სემინარები
მიზანი 3. სამეცნიერო აქტივობების მენეჯმენტის ხარისხის გაუმჯობესება				
3.1.	თანაშრომელთა და სტუდენტთათვის სამეცნიერო ფორუმების, კოლოქვიუმების, სემინარების ჩატარების ორგანიზება; საერთაშორისო მასშტაბის ღონისძიებებში (სამეცნიერო ფესტივალები, გამოფენები და სხვა) მონაწილეობა;		კათედრის პროფესორ-მასწავლებლები; სამეცნიერო განყოფილება	

3.2.	<p>ადგილობრივი და საერთაშორისო საგრანტო კონკურსების შესახებ ინფორმაციის მოძიება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. სამეცნიერო ფონდებთან მუშაობის გააქტიურება, შემდეგ ფონდებზე ფოკუსირებით :</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი ▪ და სხვა ფონდები 	<p>გამოცხადებული კონკურსების შესაბამისად</p>		<p>გამოქვეყნებული ნაშრომები</p>
მიზანი 4. საკათედრო წლიური თემებისა და ინდივიდუალური აქტივობების განხორციელება				
4.1.	<p>ანდროგენია: XXI ს-ის ნაკლი თუ უპირატესობა</p>	<p>2019 წლის მარტი-ოქტომბერი</p>	<p>კათედრის პროფესორი, „ფსიქოლოგიის“ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ნ. ახალაშვილი, ასოც. პროფესორი ნ. გოგიჩაშვილი, ასოც. პროფესორი ე. კერესელიძე, ლ. შენგელია</p>	<p>წლიური სამეცნიერო თემა:</p>

4.2.	კავკასია უძველესი დროიდან ახ. წ. IV ს-მდე	2019 წლის სექტემბერი	პროფესორი ვ. ვაშაკიძე	„კავკასიის ისტორიის ნარკვევების“ ორტომეულის პირველი ნაწილი
4.3.	ფსიქოლოგიის ისტორიის საკითხები	2019 წლის სექტემბერი-ოქტომბერი	პროფესორი ნ. ახალაშვილი	სახელმძღვანელო. მე-2 შევსებული გამოცემა.
4.4.	ედვარდ დე ბონო და ლატერალური აზროვნება	2019 წლის სექტემბერი	პროფესორი ნ. ახალაშვილი	სტატია
4.5.	ერის კონცეპტისათვის მიხეილ წერეთლის სოციოლოგიურ ნააზრევში	2019 წლის სექტემბერი	პროფესორი გ. კუტალაძე	სტატია
4.5.	ბავშვთა მიმართ ძალადობის ფსიქოლოგიური ასპექტები (სტატია).	2019 წლის ნოემბერი	ასოცირებული პროფესორი ნ. გოგიჩაშვილი	სტატია
4.6.	გრიგოლ რობაქიძის მხატვრული ნააზრევის ზოგიერთი ფილოსოფიური ასპექტი	2019 წლის ოქტომბერი	ასოცირებული პროფესორი ლ. ჯანგებაშვილი	სტატია
4.7.	საქმიანი ეთიკის მორალური პრობლემები	2019 წლის ოქტომბერი	ასოცირებული პროფესორი თ. ფანცულაია	სტატია
4.8.	დევიაციური ქცევა და საზოგადოება	2019 წლის ნოემბერი	ასოცირებული პროფესორი ე. კერესელიძე	სტატია

ინფორმატიკის კათედრა

ინფორმატიკის კათედრის სამეცნიერო საქმიანობის ერთწლიანი, 2019 წ., გეგმა ეფუძნება გთუნის სტრატეგიული განვითარების გეგმას და მოქმედი ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტების ერთწლიან სამოქმედო გეგმებს, პრიორიტეტს, რომლის მისაღწევადაც ინფორმატიკის კათედრა ისახავს შემდეგი რიგის მიზნებისა და შესაბამისი ამოცანების გადაწყვეტას:

მიზანი 1. სამეცნიერო საქმიანობის აქტივობების ხარისხის ამაღლება					
№	ამოცანები	პერიოდი	პასუხისმგებელი	ინდიკატორები და სამიზნე ნიშნულები	ჩართული სტრუქტურა
1.1.	ინფორმატიკის კათედრის სამეცნიერო კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრა. თემატიკა: - თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები სწავლებაში - სწავლების პერსონალიზაციის პრობლემები; - ინტელექტუალური საინფორმაციო სისტემები, მონაცემთა ინტელექტუალური ანალიზი. - გეოინფორმაციული სისტემები ტურისტულ ბიზნესში;	21. 01.2019	<ul style="list-style-type: none"> ▪ პროფ. თ. ჟვანია, ▪ ასოც. პროფ. მ. მიქელაძე, ▪ მოწვეული სპეციალისტი ▪ ზ. ლაოშვილი 	კათედრის ანგარიში	ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი და ხუსი
1.2.	გთუნის ინფორმატიკის კათედრის სამეცნიერო პოტენციალის რეკლამირება და კვლევის შედეგების შეთავაზება საზოგადოებისთვის - კვლევების შედეგების გამოქვეყნება	წლის განმავლობაში	პროფ. თ. ჟვანია, პროფ. მ. მიქელაძე მოწვეული სპეციალისტი	გამოქვეყნებული პუბლიკაციები, მათ შორის: <ul style="list-style-type: none"> • 3 - გთუნის შრომათა კრებულში; 	ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი და ხუსი

	ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცემებში		ზ. ლაოშვილი	<ul style="list-style-type: none"> 2 - სტუ-ს შრომათა კრებულში; 2 საერთაშორისო გამოცემებში 	
1.3.	<p>გთუნის ინფორმატიკის კათედრის პროფესორ-მასწავლებელთა მონაწილეობა - საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში/სიმპოზიუმებში.</p> <ul style="list-style-type: none"> The V AMMCS International Conference, Waterloo, Ontario, Canada 2019; „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების“ მეხუთე საერთაშორისო სიმპოზიუმი, პრადა, ჩეხეთი; „გეოგრაფიის თანამედროვე პრობლემები“ (საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება, თბილისი, 	<p>წლის განმავლობაში</p> <p>დეკემბერი.</p>	<p>პროფ. თ. ჟვანია, პროფ. მ. მიქელაძე მოწვეული სპეციალისტი</p> <p>ზ. ლაოშვილი</p>	<p>ჩატარებული ღონისძიებების პროგრამები, მათ შორის:</p>	<p>ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი და ხუსი</p>
1.4.	<p>მეცნიერების და ინოვაციების ფესტივალის ფარგლებში კათედრის მიერ მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის მასტერკლასის ორგანიზება, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების შესაძლებლობებისა და მნიშვნელობების გაცნობის მიზნით</p>	სექტემბერი	<p>პროფ. თ. ჟვანია, მოწვეული სპეციალისტი</p> <p>ზ. ლაოშვილი</p>	მეცნიერების და ინოვაციების ფესტივალი	<p>ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი და ხუსი</p>

1.5.	გთუნის, როგორც სამეცნიერო საკონსულტაციო ცენტრის ავტორიტეტის მოპოვება და ამ საქმიანობაში ინფორმატიკის კათედრის მონაწილეობა	წლის განმავლობაში	<ul style="list-style-type: none"> ▪ პროფ. თ. ჟვანია, ▪ ასოც. პროფ. მ. მიქელაძე 	ტრენინგ კურსები	ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი და ხუსი
მიზანი 2. სამეცნიერო აქტივობების მენეჯმენტის ხარისხის გაუმჯობესება					
2.1.	ადგილობრივი და საერთაშორისო საგრანტო კონკურსების შესახებ ინფორმაციის მოძიება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	წლის განმავლობაში	პროფ. თ. ჟვანია	ფონდებში წარდგენილი საპროექტო განაცხადები	ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი და ხუსი
2.2.	საერთაშორისო რეფერირებად და იმფაქტ-ფაქტორის ჟურნალებში კვლევის შედეგების გამოქვეყნების სტიმულირება და ხელშეწყობა	წლის განმავლობაში	პროფ. თ. ჟვანია	გამოქვეყნებული პუბლიკაციები	ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი და ხუსი
2.3.	სამეცნიერო კონფერენციების სემინარების, ჩატარების ორგანიზებაში და საერთაშორისო მასშტაბის ღონისძიებებში (სამეცნიერო ფესტივალები, გამოფენები და სხვა) მონაწილეობა	წლის განმავლობაში	კათედრის პროფესორ-მასწავლებლები	ჩატარებული ღონისძიებების პროგრამები, ანგარიშები უნივერსიტეტის ვებგვერდი	ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი და ხუსი
2.4.	უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალების საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით ნაშრომების რედაქტირება	ივნისი, ივლისი 2019	პროფ. თ. ჟვანია	გურამ თავართქილაძის შრომათა კრებული	უცხო ენის ცენტრი; ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი და ხუსი

2.5.	საინფორმაციო ტექნოლოგიების თანამედროვე მიღწევებსა და ინოვაციებზე, თანამედროვე სასწავლო-მეთოდურ სახელმძღვანელოებზე ინფორმაციის პერმანენტულად მიწოდება პედაგოგებისა და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისათვის	პერიოდულად	პროფ. თ. ჟვანია	ახალი სამეცნიერო/სასწავლო და მეთოდური ლიტერატურა	უცხო ენის ცენტრი; ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი და ხუსი
------	---	------------	-----------------	--	--

სამართლის ფაკულტეტის სამეცნიერო საქმიანობის გეგმა

2019

კერძო სამართლის კათედრა

კერძო სამართლის კათედრის სამეცნიერო საქმიანობის ერთწლიანი გეგმა ეფუძნება უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების და კათედრის ერთწლიან სამოქმედო გეგმებს.

სამეცნიერო საქმიანობა წარმართება პროფილური კვლევების გაღრმავებისა და სასწავლო პროცესთან მათი შედეგების ინტეგრირების, საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ღირსეული ადგილის დასაკავებლად კათედრის წევრთა და სტუდენტების მოტივირების ფონზე.

კათედრის სამეცნიერო საქმიანობა შემდეგი ძირითადი მიზნების რეალიზაციას ემსახურება:

მიზანი 1. სამეცნიერო საქმიანობის ხარისხის ამაღლება და ინტენსიფიკაცია კერძო სამართლის მიმართულებით

მიზანი 2. საერთაშორისო პუბლიკაციების წამახალისებელი პროექტების შემუშავება

მიზანი 3. სამეცნიერო კვლევებში სტუდენტთა აქტიურად ჩაბმა და შედეგების პუბლიკაციის უზრუნველყოფა

მიზანი 4. ადგილობრივ და საერთაშორისო საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის წახალისება

კათედრის სამეცნიერო საქმიანობის გეგმა 2019 წლისათვის

N	ამოცანები	პერიოდი	პასუხისმგებელი	შესრულების ინდიკატორი/სამიზნე ნიშნები	ჩართული სტრუქტურა
1	თემა: „სასესხო ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების პრობლემები“	2019	რ. შენგელია ნ. ფიცხელაური შ. ქურდაძე ლ. საჯაია დ. სუხიტაშვილი	კვლევის შედეგების პუბლიკაცია საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალში „ცხოვრება და კანონი“	სამართლის ფაკულტეტის დეკანატი

2	კერძო სამართლის სტუდენტთა სამეცნიერო მუდმივმოქმედი წრის ჩამოყალიბება	2019 წლის აპრილი	რ. შენგელია შ. ქურდაძე		სამართლის ფაკულტეტის დეკანატი
3	პროფესორ-მასწავლებელთა ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის სრულყოფა	2019 წლის მაისი	რ. შენგელია ნ. ფიცხელაური შ. ქურდაძე ლ. საჯაია დ. სუხიტაშვილი	პროგრამა თეზისები	სამართლის ფაკულტეტის დეკანატი
4	სამართლის ფაკულტეტის ინიციატივით ჩასატარებელ საერთაშორისო კონფერენციაში მაგისტრანტის მონაწილეობის უზრუნველყოფა	2019 წლის მაისი	რ. შენგელია ე. ლაღიძე		სამართლის ფაკულტეტის დეკანატი
5	კათედრის წევრთა მონაწილეობის უზრუნველყოფა უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებულისა და ჟურნალ „ცხოვრება და კანონი“-ს მორიგი ნომრის გამოსაქვეყნებლად მასალების მომზადებაში	2019 წლის მაისი - ივნისი	რ. შენგელია ნ. ფიცხელაური შ. ქურდაძე ლ. საჯაია დ. სუხიტაშვილი	3 სტატია	სამართლის ფაკულტეტის დეკანატი
6	სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობისათვის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტთა მოხსენების ხელმძღვანელობა	2019 წლის ივნისი	რ. შენგელია ნ. ფიცხელაური	პროგრამა თეზისები	სამართლის ფაკულტეტის დეკანატი
7	კათედრის წევრების საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის ხელშეწყობა 1. ადგილობრივი კონფერენცია	2019	რ. შენგელია ნ. ფიცხელაური შ. ქურდაძე ლ. საჯაია დ. სუხიტაშვილი	4 სტატია	სამართლის ფაკულტეტის დეკანატი
8	პროფ. დ. სუხიტაშვილის მონოგრაფიის „ვადები სამოქალაქო სამართალში“ საჯარო განხილვა	2019	დ. სუხიტაშვილი რ. შენგელია		სამართლის ფაკულტეტის დეკანატი

9	კერძო სამართლის კათედრის სამეცნიერო პოტენციალის რეკლამის მიზნით შესაბამისი პუბლიკაციების მომზადება პერიოდულ პრესაში	2019	რ. შენგელია შ. ქურდაძე დ. სუხიტაშვილი	გამოქვეყნებული ინფორმაცია	სამართლის ფაკულტეტის დეკანატი
10	საგრანტო კონკურსებში კათედრის წევრთა მონაწილეობის წახალისება	2019	რ. შენგელია ნ. ფიცხელაური შ. ქურდაძე ლ. საჯაია დ. სუხიტაშვილი	პროგრამის პრეზენტაცია	სამართლის ფაკულტეტის დეკანატი
11	უნივერსიტეტის, როგორც სამეცნიერო საკონსულტაციო ცენტრის ავტორიტეტის ამაღლების მიზნით კათედრის წევრების მოხსენებებით გამოსვლა საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში	2019 წლის მაისი, ივნისი, ივლისი	რ. შენგელია ნ. ფიცხელაური შ. ქურდაძე		სამართლის ფაკულტეტის დეკანატი
12	კათედრის წევრების მიერ კერძო სამართლის მიმართულებით სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის შექმნისა და პუბლიკაციის წახალისება	2019 წლის მეორე ნახევარი	რ. შენგელია ნ. ფიცხელაური	1 სახელმძღვანელო	სამართლის ფაკულტეტის დეკანატი
13	უცხოურ სამეცნიერო ჟურნალებში კათედრის წევრთა შრომების პუბლიკაციის ხელშეწყობა	2019 წლის ოქტომბერი	ლ. საჯაია ნ. ფიცხელაური	1 სტატია	სამართლის ფაკულტეტის დეკანატი
14	ახალი იურიდიული ლიტერატურის განხილვა კათედრის სხდომებზე	პერიოდულად	რ. შენგელია შ. ქურდაძე		სამართლის ფაკულტეტის დეკანატი
15	ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვის შესახებ სამეცნიერო სტატიის მომზადება და გამოქვეყნება	2019 წლის ნოემბერი	ლ. საჯაია	ჟურნალი და გაზეთი	სამართლის ფაკულტეტის დეკანატი
16	საერთაშორისო არბიტრაჟის საქმიანობის სამართლებრივ პრობლემებზე გამართულ სიმპოზიუმზე კათედრის წევრის ჩართულობის უზრუნველყოფა	2019	ნ. ფიცხელაური	პროგრამა	სამართლის ფაკულტეტის დეკანატი

საჯარო სამართლის კათედრა

საჯარო სამართლის კათედრის სამეცნიერო საქმიანობის ერთწლიანი გეგმა ეფუძნება უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების და კათედრის ერთწლიან სამოქმედო გეგმებს. სამეცნიერო საქმიანობა წარიმართება პროფილური კვლევების გაღრმავებისა და სასწავლო პროცესთან მათი შედეგების ინტეგრირების, საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ღირსეული ადგილის დასაკავებლად კათედრის წევრთა და სტუდენტების მოტივირების ფონზე.

კათედრის სამეცნიერო საქმიანობა შემდეგი ძირითადი მიზნების რეალიზაციას ემსახურება:

მიზანი 1. სამეცნიერო საქმიანობის ხარისხის ამაღლება, საერთაშორისო პუბლიკაციების წამახალისებელი პროექტების შემუშავება

მიზანი 2. ადგილობრივ და საერთაშორისო საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის წახალისება

მიზანი 3. სამეცნიერო კვლევებში სტუდენტთა აქტიურად ჩაბმა და შედეგების პუბლიკაციის უზრუნველყოფა

N	ამოცანები	პერიოდი	პასუხისმგებელი	შესრულების ინდიკატორი/სამიზნე ნიშნები	ჩართული სტრუქტურა
1	საკვლევი თემა - „კიბერდანაშაულის“ წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემები საქართველოში	2019	გ. ლობჯანიძე ვ. ბენიძე ნ. ბოჭორიშვილი თ. ებრალიძე ნ. თევდორაძე დ. ლობჯანიძე ე. ფუტყარაძე ს. ჭელიძე გ. ხუნაშვილი	კვლევის შედეგების პუბლიკაცია საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალში „ცხოვრება და კანონი“	სამართლის ფაკულტეტის დეკანატი
2	უცხოურ სამეცნიერო ჟურნალებში კათედრის წევრთა შრომების პუბლიკაციის ხელშეწყობა	2019	გ. ლობჯანიძე ე. ფუტყარაძე	2 სტატია	სამართლის ფაკულტეტის დეკანატი
3	კათედრის წევრების საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის ხელშეწყობა 1. ადგილობრივი კონფერენცია 2. საერთაშორისო კონფერენცია (უკრაინა)	2019 წლის მაისი	გ. ლობჯანიძე შ. ფიცხელაური ვ. ბენიძე ნ. ბოჭორიშვილი	6 სტატია	სამართლის ფაკულტეტის დეკანატი

			<p>თ. ებრალიძე ნ. თევდორაძე დ. ლობჯანიძე ე. ფუტკარაძე მ. ქუთათელაძე ს. ჭელიძე</p>		
4	<p>კათედრის წევრთა მონაწილეობის უზრუნველყოფა უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებულისა და ჟურნალ „ცხოვრება და კანონი“-ს მორიგი ნომრის გამოსაქვეყნებლად მასალების მომზადებაში</p>	2019	<p>გ. ლობჯანიძე შ. ფიცხელაური ვ. ბენიძე ნ. ბოჭორიშვილი თ. ებრალიძე ნ. თევდორაძე დ. ლობჯანიძე ე. ფუტკარაძე მ. ქუთათელაძე ს. ჭელიძე გ. ხუნაშვილი</p>	5 სტატია	სამართლის ფაკულტეტის დეკანატი
5	<p>სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობისათვის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტთა მოხსენების ხელმძღვანელობა</p>	2019 წლის ივნისი	<p>გ. ლობჯანიძე ვ. ბენიძე ნ. ბოჭორიშვილი თ. ებრალიძე ნ. თევდორაძე შ. ფიცხელაური დ. ლობჯანიძე ე. ფუტკარაძე მ. ქუთათელაძე ს. ჭელიძე გ. ხუნაშვილი</p>	პროგრამა თეზისები	სამართლის ფაკულტეტის დეკანატი
6	<p>საგრანტო კონკურსებში კათედრის წევრთა მონაწილეობის წახალისება</p>	2019	<p>გ. ლობჯანიძე ე. ფუტკარაძე</p>	პროგრამის პრეზენტაცია	სამართლის ფაკულტეტის დეკანატი
7	<p>ნაშრომის მომზადება - „საერთაშორისო მუნიციპალური სამართალი“</p>	2019	<p>გ. ლობჯანიძე დ. ლობჯანიძე</p>		სამართლის ფაკულტეტის დეკანატი

სამეცნიერო საქმიანობის შეფასება

2019 წლიდან გთუნის სამეცნიერო საქმიანობის შეფასება განხორციელდება „სამეცნიერო საქმიანობის სტრატეგიით“ განსაზღვრული სისტემის შესაბამისად.

გთუნის სამეცნიერო საქმიანობის შეფასების სისტემა წარმოადგენს უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მექანიზმს, რომელიც განვითარებაზე ორიენტირებული, უწყვეტი შეფასების პროცესია და ეფუძნება PDCA ციკლის პრინციპს. სამეცნიერო საქმიანობის შეფასების მექანიზმები ითვალისწინებს შედეგების ანალიზსა და შეფასებას, ხოლო მათ საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღებას შემდგომი გაუმჯობესებისათვის. კვლევითი საქმიანობის შეფასების სისტემით შესაძლებელია შეფასდეს როგორც პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობა, ასევე საქმიანობის ხარისხი. შეფასება ხდება პერიოდულად და დაფუძნებულია როდენობრივ და ხარისხობრივ ინდიკატორებზე.

შეფასებისათვის გამოიყენება:

1. ფაკულტეტების/კათედრების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების გზით მიღებული ინფორმაცია;
2. პირველადი მონაცემების წყაროები: Web of Science / Book Citation Index; Scopus; Google Scholar; Clarivate Analytics;
3. სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მონაცემები და შესაბამისი ანგარიშები;
4. კოლეგების, აგრეთვე დამოუკიდებელ მკვლევართა შეფასებები.

ფაკულტეტზე შეგროვებულ მონაცემებს აანალიზებს შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ასახავს ანგარიშებში, რომლებსაც აწვდის გთუნის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტებიდან მიღებული მონაცემებისა და პირველადი შეფასების, ასევე შესაბამისი სამსახურებიდან მიღებული ანგარიშების საფუძველზე ამზადებს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების ანგარიშს, რომელსაც წარუდგენს:

- რექტორს;
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს;
- ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს;
- საჭიროების შემთხვევაში, ყველა უფლებამოსილ პირს.

უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების შედეგად გამოვლენილი კვლევითი საქმიანობის კარგი პრაქტიკის გაზიარებასა და წახალისებას კოორდინირებას უწევს გთუნის ადმინისტრაცია

ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან ერთად. ეს შესაძლებლობას მისცემს უნივერსიტეტს ეფექტურად გამოიყენოს მხარდამჭერი მექანიზმები კვლევითი საქმიანობის ხარისხის განვითარებისათვის.

ყოველი წლის ბოლოს გთუნი დაინტერესებულ საზოგადოებას წარუდგენს მიმდინარე წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშს.

სამეცნიერო საქმიანობის შეფასების მეთოდებია:

1. კათედრების და აკადემიური პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო საქმიანობის შეფასება ხორციელდება ფორმალური გზით, განსაზღვრული პერიოდულობით, სულ მცირე წელიწადში ერთხელ, და წინასწარ დადგენილი ფორმით.
2. კათედრების და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო -კვლევითი საქმიანობის შეფასება ხდება მის მიერ განხორციელებული კვლევითი საქმიანობის შეფასების გზით.
3. კათედრების და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება ხორციელდება წინასწარ დამტკიცებული შეფასების/ანგარიშის ფორმის საშუალებით.

სამეცნიერო საქმიანობის შეფასების ინდიკატორებია

გთუნი სამეცნიერო საქმიანობის შეფასებისთვის გამოიყენება სამი ინდიკატორი: ბიბლიომეტრული ინდიკატორი, საკადრო ინდიკატორი, ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და ხარისხობრივი ინდიკატორებით:

1. ბიბლიომეტრული ინდიკატორი:

- პროდუქტულობა (პუბლიკაციათა რაოდენობას განსაზღვრულ პერიოდში, პუბლიკაციათა სახეების მიხედვით: სახელმძღვანელო, მონოგრაფია, სტატია);
- პუბლიკაციათა რაოდენობა რედაქტირებად ჟურნალებში;
- პუბლიკაციათა რაოდენობა საერთაშორისო ჟურნალებში;
- პუბლიკაციათა რაოდენობა იმპაქტ -ფაქტორის საერთაშორისო ჟურნალებში;
- ციტირების ინდექსი, რაც აჩვენებს ნაშრომის მნიშვნელობას (არსებობის შემთხვევაში);
- უცხოელ მეცნიერთან თანაავტორობა, რაც გამოხატავს საერთაშორისო კოოპერაციას.
(*დეტალურად გაწერილია დოკუმენტში „სამეცნიერო საქმიანობის სტრატეგია“)

2. საკადრო ინდიკატორი:

რაც გულისხმობს შემდეგს:

- სამეცნიერო ხარისხის მქონე აფილირებული პერსონალის რაოდენობა;

- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საბჭოების და/ან სამეცნიერო პროფესიული გაერთიანებების წევრობა;
- აკადემიური პერსონალის მონაწილეობა კონფერენციებში/სიმპოზიუმებში, სემინარებში, ვორკშოფებში (მ.შ. საერთაშორისო) და სხვა ღონისძიებებში, მონაწილეობის ფორმა;
- აკადემიური პერსონალის მიერ მოპოვებული სამეცნიერო გრანტები;
- სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა, ნაშრომების რაოდენობა (მ.შ. ნაშრომების რაოდენობა, რომელნიც შეფასდა უმაღლესი ქულებით საერთო რაოდენობიდან);
- აკადემიური პერსონალის სარედაქტორო/სარეცენზიო საქმიანობა;

(“დეტალურად გაწერილია დოკუმენტში „სამეცნიერო საქმიანობის სტრატეგია“)

3. ფინანსური და მატერიალურ - ტექნიკური ინდიკატორი:

რაც გულისხმობს:

- ფინანსურ-დანახარჯებს მეცნიერებაზე და არსებულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას.

4. სამეცნიერო ნაშრომის ხარისხი

სამეცნიერო ნაშრომის ხარისხის შეფასებისთვის, კვლევის სფეროს სპეციფიკის მიუხედავად, გამოყენებულია შემდეგი კრიტერიუმები:

- ნაშრომი რედაქტირებულია (Peer reviewed);
- ნაშრომის იდეა/შინაარსი/დასკვნები ორიგინალურია;
- კვლევის საკითხი თანამედროვე და აქტუალურია; ჩამოყალიბებულია მკაფიოდ, ნათლად, გასაგებად და არგუმენტირებულად;
- კვლევის საკითხი ფართოდ არის მიმოხილული, ასახავს საკითხის შესწავლილობის ასპექტებს;
- ნაშრომი თანმიმდევრულია, არ შეიმჩნევა ლოგიკური წყვეტა, არ ეყრდნობა ფიქტიურ არგუმენტებს;
- ადგილი არ აქვს ფაქტების, ინფორმაციის, მონაცემების არამართებულ მანიპულაციას და დამახინჯებულ ინტერპრეტაციას;
- დასკვნები გადამოწმებულია, არ არის საეჭვო და გადაჭარბებული; არ არის ალოგიკური (non-sequitur) და უშუალოდ გამომდინარეობს წინამძღვრებიდან;
- არ არის იგნორირებული ალტერნატიული მოსაზრებები და დასკვნები;
- ნაშრომი გამოყენებადია;
- ნაშრომის ციტირების ინდექსი ([Google Scholar](#) -ის, [Scopus](#)-ისა და [ტომსონის \(Thomson Reuters | Web of Science\)](#) მონაცემთა გამოყენებით);
- წყაროები გადამოწმებულია ზუსტად და გამოყენებულია კეთილსინდისიერად;

- ნაშრომს შეუძლია გავლენა მოახდინოს...(სფერო: ეკონომიკური, სამართლებრივი, სოციალური, კულტურული, პოლიტიკური, გარემოსდაცვითი, სხვა);
- გასაგებად იკითხება.

მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს ამ კრიტერიუმთა 90%-ს. შეფასების შედეგები გამოყენება გთუნის სამეცნიერო საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის.

სამეცნიერო საქმიანობის ანგარიში

ყოველი კალენდარული წლის ბოლოს ფაკულტეტი/კათედრა აჯამებს განხორციელებულ სამეცნიერო საქმიანობას და წარუდგენს დასახული გეგმის განხორციელების შედეგებს პრორექტორს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამზადებს ანგარიშს გთუნის სამეცნიერო საქმიანობის ძირითადი შედეგების შესახებ; გთუნის ერთიანი სამეცნიერო საქმიანობის ძირითადი შედეგების საფუძველზე ხდება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება.